პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 19 აპრილი № 91 (16828) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს, 19 აპრილს მუშაობას შეუდგებიან საქართველოს სსრ მასწავლებელთა IV ყრილობა

მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

მასწავლებელი — დიდი მეგზური

სახალხო განათლების მუშაკებო! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სწავლების ხარისხი, სრულყავით სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადება! მოზარდი თაობა აღზარდეთ კომუნიზმის იდეალებისა და ზნეობრივი პრინციპების, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

ბაქოში თბილისში რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქიდან, და რაიონიდან ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის დელეგატები, ისინი, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს სწავლა-აღზრდის პრობლემებისადმი მიძღვნილ დიდ ფორუმში.

სურათზე: ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან): თბილისის 53-ე საშუალო სკოლის დირექტორი ლ. მარგველაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალური საბაჭო საშუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი შ. ნიშნიანიძე, ასპის რაიონის ბაგრატის გიმნ. ლ. ოსტროვსკაია, ბათუმის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი ლ. ჭანტურაია, შუახევის რაიონის სოფელ გომარდულის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ღ. ბუჯაბაძე, ზუგდიდის განათლების განყოფილების სკოლამდელი აღზრდის მეთოდიკური კაბინეტის მეთოდისტი მ. სარჩველია, საქართველოს სსრ დაუსწრებელი მუზეკაურთა და მეთვალყურეთა საშუალო სკოლის დირექტორი პ. სამებაშვილი, ონიფრის რაიონის № 15 საშუალო სკოლის მასწავლებელი მ. აბასაძე, თბილისის 65-ე საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის დარგში, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი ლ. ნინიძე, წითელი წყაროს რაიონის სოფელ ზემო მიჩხანის საშუალო სკოლის მასწავლებელი დ. ბერნაშვილი, ჯარელის რაიონის აგარის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღზრდელობითი მუშაობის დარგში ბ. მიქელაძე, ბოლნისის რაიონის რატევანის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ძ. რეხვიაშვილი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

მასწავლებელი — დიდი მეგზური

ბარბისს მუდამ დიდმნიშვნელოვან პრობლემად მიაჩნდა მომავალი თაობის აღზრდა. აღზრდა, თუ მის ხილვრიში ჩავიხედავთ და პერსპექტივებს თვალს გავადევნებთ, თესლია, რომლიდანაც ეკონომიკაც აღმოცენდება და ქვეყნის ძალაც და ძლიერებაც; იგი დაეფუძნება საზოგადოების სიჯანსაღეს, სუფთა და ნათელ კლიმატს, ადამიანთა ჰარმონიულ ურთიერთობას და ერთობლივ სწრაფვას უკეთესი მერმისისაკენ. ისეთი აღზრდა, მარქსი და ლენინი, პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი რომ გვასწავლიან, დღევანდელი ჯაფით მოპოვებული ხვალინდელი ბედნიერი დღეა, ამ ჯაფას არ უნდა იშურებდეს არცერთი ადამიანი, ვისაც კი რაიმე საერთო აქვთ აღზრდასთან — სკოლასთან. ჩვენს საზოგადოებაში კი ისეთი წევრი არ გვიგულება, აღზრდასთან რომ საერთო არა ჰქონდეს. მასწავლებელი, მშობელი, თვით აღსაზრდელიც იმ დიდი და დაუმთავრებელი ომის აქტიური მონაწილენი არიან, სწავლა-აღზრდის პროცესი რომ ჰქვია; ამ ომს, თუმცა იგი არასოდეს არ მთავრდება, ხამწუხარო შემთხვევაში აგებენ კიდეც, საბედნიერო ვითარებაში კი — იგებენ. და არაფერი შეედრება ამ ომის მოგების სიხარულს — კარგ მოქალაქეთა — მუშათა და კოლმეურნეთა, ინჟინერთა და ექიმთა, აგრონომთა და მასწავლებელთა, მშენებელთა და სამშობლოს დამცველთა თაობის აღზრდას. როცა ასეთ თაობათა ნაკადები ერწყმიან კომუნიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხის ზღვას. — სამშობლოც ძლიერი და უძლეველია. მეიდარი და ლამაზია. ეწორედ ამიტომ გაისმის დღეს საქვეყნოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებათა სიტყვები:

სახალხო განათლების მუშაკებო! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სწავლების ხარისხი, სრულყავით სახალხო მეურნეობისათვის კადრების მომზადება! მოზარდი თაობა აღზარდეთ კომუნიზმის იდეალებისა და ზნეობრივი პრინციპების, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

ცხოვრება არ სჯერდება მარტო იმას, რომ ადამიანს ჰქონდეს ცოდნის მარაგი, თუმცა იგი აუცილებელია. მარტო ცოდნა, თუ მას რიგიანად არ გამოვიყენებთ, მოუხმარებელი განძია, უქმად გდებული სახნისია, უანგი რომ ედება და ბლაგვდება. ცხოვრებას ადამიანის ისეთი ცოდნა სჭირდება, რომლის პრაქტიკულად გამოყენების უნარი ექნება, ექნება იმის წადილი და უნარი, რომ იგი საზოგადოების, ქვეყნის, სამშობლოს ინტერესებს მოახმაროს. ამიტომ, — მიგვითითებს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — მეცნიერებას რომ ვასწავლით ბავშვებს, ამასთან გარჯაც უნდა ვასწავლოთ და სიძნელეთა გადალახვაც, საკუთარი თავისადმი კრიტიკული მიდგომაც და მომავლის პრობლემების დიდი სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან დანახვაც... **ასე მიიღება ცოდნისა და მრწამსის შეერთება.** ფაქიზი და ზუსტი უნდა იყოს პროცესი ცოდნისა და მრწამსის შეერთების მიღებისა. ამ პროცესს შუაგულშია მისი წარმმართველი ძალა, მისი მთავარი ფიგურა — მასწავლებელი. ეწორედ ამიტომ მთელი რესპუბლიკის გულისხმიერი და, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, იმედის თვალიც დღეს მიპყრობილია ფიდელ-ქალების ფილარმონიის ახალი გრანდიოზული შენობის დიდი ხაკონცერტო დარბაზისაკენ, სადაც თავყრილნია აქვთ პარტიისა და მთავრობის, მთელი ხალხის ზრუნვით, სიყვარულით პატივისცემით გარემოსილ მასწავლებლებს. დღეს ამ მასწავლებელთა მეოთხე ყრილობა იწყებს მუშაობას.

მასწავლებელთა მესამე ყრილობამდელი და მესამე ყრილობას შემდგომი პირველი სამი-ოთხი წელიწადი ეს ის ნეგატიური მოვლენების გაძლიერების პერიოდია, რამაც თავისი ღილი დაარღვია სკოლის მუშაობას. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხო მასწავლებელთა კადრებს. მაკრამ მარტო ატესტაციით და მასწავლებელთა დაწყნარებით, მათთვის „შეუფერებლისა“ და „სუსტის“ აცალფიცაციით საქმეს ვერ გამოვასწორებთ. სისტემატურად და ეფექტურად უნდა ვიმუშაოთ მათ მოსამზადებლად და გადასამზადებლად. დაბეჯითებით ვიზრუნოთ უკეთესი მასწავლებლებით მათ შესაცვლელად. მთელ ამ პროცესში პარტიულ ორგანიზაციებს მართებთ სკოლისადმი ქმედითი დახმარება და საქმიანი ხელმძღვანელობა. დიდი ხარეფზის შესახებად უმთავრესი როლი მაინც უმაღლეს სასწავლებლებს ეკუთვნის, მათში მიღების პრობლემის კეთილად წარმართვას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას.

ბუნებრივია, ყრილობა მთავარ პრობლემად მასწავლებლის, როგორც სწავლა-აღზრდის მთავარი ფიგურის პრობლემას დასახავს.

პედაგოგი პარტიის ერთგული თანაშემწეა. მასწავლებელი და მით უფრო დირექტორი პარტიის ხაზის გამტარებელი არიან სახალხო განათლებაში, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის სახელმწიფოებრივ საქმეში. ამიტომ ისინი პროფესიულ დახელოვნებასთან ერთად პარტიული, საბჭოთა მოქალაქეობრივი სინდისიერებით, პატიოსნებით და სისპეტაკით აღჭურვილნი უნდა იყონ. ხარისხის ხუთწლედში სკოლას მართებს მთელი სერიოზულობით წყვეტდეს მოსწავლის ადამიანის ხარისხის პრობლემას. ეს კი მოიცავს მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ, ზნეობრივ აღზრდას. დიდია მეცნიერთა, მეცნიერებათა აკადემიის, კერძოდ, შესაბამისი ინსტიტუტების როლი სკოლის მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებაში. სკოლები ჯეროვან, ქმედით და ცხოვრებისეულ რეკომენდაციებს მოელიან პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის დარგის მეცნიერთაგან. განუზომელია როლი მეცნიერთა წვლილისა ხახელმძღვანელოების შექმნაში.

როგორც მარტო ხარდალი ვერას გახდება ბრძოლის ველზე, ეფრე მასწავლებელი და სკოლის დირექტორი მიაღწევენ თავიანთ მუშაობაში ჯეროვან შედეგებს, თუ მათ გვერდში არ ამოუდგებიან მშობელთა კომიტეტები, შეფი ორგანიზაციები, კომკავშირი, პიონერული ორგანიზაცია. პარტიულმა კომიტეტებმა მუდამ ყურადღების ცენტრში უნდა იჭიროინ აღზრდის პრობლემა, ახალგაზრდობის მხოფლმხედველობის ფორმირება, რაზმავდნენ პიონერულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს მოაზროვნე, გაბედულ, ხაზგადაღებულ მოზავალ ღირსეულ წევრთა აღსაზრდელად. ჩვენთვის მთავარია მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათში დამოუკიდებლობის, ზრომითი ჩვევების განვითარება.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა, ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმები მუდამ უსახავდნენ ჩვენს სკოლას მოზარდი თაობის აღზრდის ნათელ გზასა და საბრძოლო ამოცანებს. მათი განხორციელების მსვლელობასა და მომავლის პრობლემებზე ფართოდ იმსჯელებს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობა.

დღის წესრიგშია: რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები სწავლების ხარისხის, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისა და შრომითი საქმიანობისათვის მათი მომზადების გასაუმჯობესებლად ხკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1976 წ.) დადგენილების მიხედვით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნა, აუცილებელია მთელი ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის და უწინარეს ყოვლისა საშუალო სკოლის შემდგომი სერიოზული ტრულყოფა. ეს ჩვენი მუშაობის პროგრამაა.

საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობა ემთხვევა ამ ღირსშესანიშნავ პერიოდს საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, როცა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაშლილია ფართო სოციალისტური შეჯიბრება ხარისხის ხუთწლედის მეორე წლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის, და ქვეყნად დიდი სამეურნეო და პოლიტიკური აღმავლობაა.

ეჭვი არ არის, საქართველოს სკოლა, მასწავლებელთა ოთხმოცი-ათასიანი არმია, რომელთა წარმომადგენლების თავყრილობა დღეს შეუდგა მუშაობას, ჯეროვნად აუწყობენ ფეხს ცხოვრების მძლავრ მაჯისცემას, მაღალ საფეხურზე აიყვანენ მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის პროცესს, სამშობლოს აღუზრდიან ღირსეულ მოქალაქეებს.

მხურვალე სალამი საქართველოს მასწავლებელთა მეოთხე ყრილობის დელეგატებს!

ოფიციალური მეგობრული ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით, 18 აპრილს მოსკოვში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის გენერალური მდივანი, სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, რომელიც მეთაურობს სირიის არაბთა რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას.

სირიის არაბთა რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო აღმებით მორთულ ვნუკოვის აეროდრომზე თვითმფრინავის კიბესთან ჰაფეზ ასადს მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ჰაფეზ ასადს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე კ. თ. ილიაშენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გორგაძე, სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი ნ. ა. მალცევი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კ. გულაკოვი, სსრ კავშირის ელჩი სირიის არაბთა რესპუბლიკაში ი. ნ. ჩერნიაკოვი, სხვა ოფიციალური პირები.

აეროდრომზე იყვნენ სირიის არაბთა რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ჯაბრ ალ-ჯაფარი, სსრ კავშირში აკრედიტებული მთელი რიგი ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სირიელი სტუდენტები, რომლებიც მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლები.

საფრენ მოედანზე ჩამფრენიყვანილი იყო სამი სახეობის შეიარაღებული ძალების — ქვეითთა, მფრინავთა და მეზღვაურთა სამამაცო ყარაული. ლ. ი. ბრეჟნევმა და ჰაფეზ ასადმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს. შესრულდა სირიის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

დედაქალაქის ქუჩები და მოედნები, რომლებითაც სირიელი სამამაცო სტუმრები და საბჭოთა ხელმძღვანელები მოტიცქლეტენ საპატიო ესკორტის თანხლებით ჰაფეზ ასადის ოფიციალური რეზიდენციისაკენ მიემართებოდნენ, მორთული იყო ორი ქვეყნის სახელმწიფო აღმებით, მისასალმებელი ტრანსპარანტებით. (საკდესი).

სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს.

საკდეს-ხაჭინაშვილის ტელეფოტო.

ლირსეული საჩუქარი — დიად იუბილეს!

რესპუბლიკის მშრომელთა წვლილი

16 აპრილს ლენინურ კომუნისტურ შაბათობაში საქართველოს 2 მილიონზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა, წარმოებულია 12 მილიონ 100 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია და შეათე ხუთწლედის ფონდში შეტანილია 2 მილიონი მანეთი.

3. ი. ლენინის დაბადების 107-ე წლისთავისადმი მიძღვნილმა საოუბილეო წლის კომუნისტური შრომის საყოველთაო-სახალხო ზეიმმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დიდი შრომითი აღმავლობით ჩაიარა. განსვლიდა შაბათობამ, რომელიც უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა, კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა ისტორიაში.

განსაკუთრებით წარმატებებს მიაღწიეს და თავი გამოიჩინეს საქართველოს სახელოვანი მეშათა კლასის წარმომადგენლებმა. მრავალმა მათგანმა ამ დღეს საშობლოს უსატიჟი მეათე ხუთწლედის მეორე საიუბილეო წლის პირველი ოთხი თვის გეგმის შესრულება.

დიმიტროვის სახელობის საარაკო ჭარხნის მოწინავე მუშებმა სოციალისტური შრომის გმირმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ასთანინამ, სკკპ XXV ყრილობის დელეგატმა ტ. როსტროვაშვილმა, ფ. ბარიგინმა და სხვებმა შაბათობაზე დღიურ ნორმაზე ორჯერ მეტი პროდუქცია დაამზადეს. რესპუბლიკის ნავთობის, ქიმიური და გაზის მრეწველობის მუშაკებმა 240 ათასი მანეთის პროდუქცია შეატეს სახელმწიფოს. განსაკუთრებით კარგ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს რუსთავის ქიმიური კომბინატის, ქიმიური ბოჭკოს, ქუთაისის ლითოფონის ქარხნებისა და საწარმოო გაერთიანება „საქსამთოქიმის“ საწარმოების კოლექტივებმა.

ეს დღე რუსთავის ქიმიურ კომბინატში დამკვრელური შრომით აღინიშნა. რ. დემიტრაშვილის ბრიგადამ. მათ გეგმის გადამეტებით 100 ტონა ამონიუმის გვარჯილა აწარმოეს.

საერთო-სახალხო საქმეში თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს ბერეთელ ბერეთელ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. შაბათობაზე დამშრალდა და მოიხნა 5.000 ჰექტარი მიწა, მარცვლეულ დაითესა 1.500 ჰექტარზე, დაირგო 200 ათასი ძირი ხე და ბუჩქი.

სასახელო შრომით თავი გამოიჩინეს ბორის რაიონის ტყეთაგეულ და სიღნაღის რაიონის ბოდბისეულისა და რესპუბლიკის სხვა კოლმეურნეობების მშრომელებმა. შრომის ამ ზეიმში განსაკუთრებით ისახელეს თავი ჩვენი დედაქალაქის მშრომელებმა. გათვალისწინებულზე 24 ათასით მეტმა თბილისელმა მიიღო მონაწილეობა კომუნისტურ შაბათობაში.

ამ დღეს დედაქალაქის სამრეწველო საწარმოებში დამზადდა 7.384 ათასი მანეთის პროდუქცია, რითაც წინასწარ ვალდებულებით აღებულ თანხას 297 ათასი მანეთით გადააჭარბეს.

სულ 16 აპრილს ლენინურ კომუნისტურ შაბათობაში საქართველოს 2 მილიონზე მეტი მშრომელი მონაწილეობდა, წარმოებულია 12 მილიონ 100 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია და მეათე ხუთწლედის ფონდში შეტანილია 2 მილიონი მანეთი.

განსილმა შაბათობამ კიდევ ერთხელ ცხადყო ჩვენი ხალხის დიდი ლენინური შრომითი ტრადიციებისადმი უსაზღვრო ერთგულება.

რეკორდი ნორმა გახდება

ენგურჰესის მშენებლებმა კაშხალზე ერთ დღეში 2.029 კუბური მეტრი ბეტონი ჩასხეს, ეს საარეკორდო მაჩვენებელია

ზუგდიდი. საოუბილეო წლის დამკვრელურად შრომობენ ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის სამმართველოს (უფროსი პ. ბიჩიკი) მშრომელები.

ჰიდროშენებლები საპირველმაისო შრომითის ვახტზე დადგნენ და ითხოვეს იბრძვიან, რომ ნორმად აქციონ 17 აპრილს კაშხალში ჩასხმული რეკორდული ბეტონის რაოდენობა — 2.029 კუბური მეტრი.

რეკორდული ბეტონის ჩასხმაში თავი გამოიჩინეს მებეტონეთა ბრიგადებმა, რომლებსაც კ. აკობია და ა. მელიქოვი ხელმძღვანელობენ, მემონტაჟეთა ბრიგადებმა ა. ბილბაია და ე. ზაქარაიას მეთაურობით, სპეციალიტრომონტაჟის ჯვარის უბნის და ჰიდროსპეციმშენის სამმართველოს კოლექტივებმა.

დიდი კაშხალის მშენებლებმა აპრილის დარჩენილი დღეები დამკვრელურად გამოაცხადეს, — ეს რეკორდიას აღინობა ენგურჰესის პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილემ **დ. ჩაჩუამ.**

გეგმეგი — ყოვილდღიურად

ცხაკაია. (საკ. კორ.). **კომბინირებული საკვების ადგილობრივი ქარხანა (დირექტორი ალ. კოკაია) საკვებ პროდუქტებს აწვდის დასავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონის მეცხოველეებს.**

საწარმოს კოლექტივი დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ვახტზე დგას და გადაწყვეტილი აქვს მეათე ხუთწლედის მეორე წელს გამოუშვას 4 მილიონ 197 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია და სახელმწიფოს მისცეს 215 ათასი მანეთის მოგება.

მუსიკოსები — დიად თარიღს

გუშინ მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითმა პლენუმმა

გუშინ, თვრამეტ აპრილს, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტით გაიხსნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითი პლენუმი, რომელიც ეძღვნება დიდი ოქტომბრის რევოლუციის მესამოცე წლისთავს. პლენუმთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის მდივანს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს, კომპოზიტორ მერი დავითაშვილს და ჩაიწერა მისი ნაამბობი, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

— მთელი ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ცხოვრება, — თქვა მ. დავითაშვილმა, — მომართულია ლენინისეანმაცი თარიღისა, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. საქართველოს კომპოზიტორებმა, ცხადია, ამ საერთო ფერხულის აქტიური მონაწილენი არიან. ამის დასტურად სწორედ ჩვენი პლენუმი შეიძლება დავასახელოთ. პლენუმზე მოსმენილი ნაწარმოებების მთავარი თემა იქნება თანამედროვეობა, სამსჯავროზე გამოგვაქვს ნაწარმოებები, რომლებიც კომპოზიტორთა კავშირს ყველაზე აქტიურად მოეწონა. ეს არის მუსიკა, რომელიც ეძღვნება პროლეტარიატის დიდ ბელადს ვლადიმერ ლენინს, ოქტომბრის რევოლუციას. ამ ნაწარმოებებით საქართველოს კომპოზიტორები შეეცდებიან უპასუხონ იმ დიდ შეფასებას, რომელიც მისცა ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა მოღვაწეობას ლენინი ილიასაძე ბრეჟნევმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV კონგრესზე.

ჩვენ შევეცადეთ პლენუმის რვა კონცერტის პროგრამა ისე შეგვედგინა, რომ საბჭოთა ხალხის დიდი საიმედოებელი ენთუზიაზმის შემოქმედებითი სურათი შექმნილიყო.

ცხადია, ამგვარ პლენუმში მონაწილეობის სურვილი ყველა შემოქმედს ექნებოდა. ჩვენ გავითვალისწინეთ ეს გარემოება და პლენუმის პროგრამაში შევიტანეთ ყველა თაობის კომპოზიტორთა ნაწარმოებები, „ფსალმი" და „ოცი ავტორების მუსიკა". კონცერტებზე აჟღერდება შ. მშველიძისა და ს. ნასიძის სიმფონიები, ო. თექთაძეშვილის სავიოლინო კონცერტი, ა. ბალანჩივაძის პოემა ვიოლონსა და სიმფონიური ორკესტრისათვის, ს. ციფოლინის სონატა ვიოლონჩელისათვის, რ. გაბიჩვაძის კამერული სიმფონია, ო. გორდელის პასაჟალია და ფუგა...

პლენუმზე ერთ კონცერტს ტრადიციულად დავუთმობთ კონსერვატორიის სტუდენტებს. ფორთოდ იქნება წარმოდგენილი რუსპუბლიკის კომპოზიტორი ქალების შემოქმედება, მოვისმენთ ი. ბობოხიძის ახალ საბავშვო ოპერეტას „ბურატინოს".

გ. კოტლარაძის კანტატა „ლენინზე", ა. შავერზაშვილის „საზეიმო უვერტიურა", ნ. გიგაურის „მენი სახელი კომკავშირია", აი ნაწარმოებები, რომლებიც პლენუმის მუშაობის თემატური დახასიათების მკაფიო მაგალითად გამოგვადგება.

პლენუმის კონცერტებში მონაწილეობენ საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი, კამერული ორკესტრები, სახელმწიფო კაპელა, სიმღერა-ცეკვის სახელმწიფო დასახურებული კვარტეტი. პლენუმის დასაწყისი დღეს, 25 აპრილს გაიმართება მოსმენილ ნაწარმოებთა განხილვა.

სატელევიზიო ფილმის პრემიერა

მეგობრობამ მანქილი არ იცის

ამ დღეებში თბილისში ტელევიზიით ნაჩვენები იქნა საქართველოს და ეკიპაჟის პირველი ეთოთბლევი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გულუხვობა". ჩვენთან სტუმრად იყვნენ ფილმის სცენარის ავტორი ვ. ვლასოვი და რეჟისორი ე. რიაბკო.

სურათში აისახა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა ეთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი. ძახარაელ და ბეხჩესაქელ მმრომელთა ძმობა. ეს მეგობრობა ამ ოთმოცი წლის წინთ ჩაისახა, როცა სოფელ შრომიაა და სოფელ როვნოა კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა ძ. ორაგველიძემ და თ. კლიმენკომ ხელი ითაწერეს ორი დაძმობილებული სოფლის, ქართული და უკრაინიელი სოფლების ძმრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას. აქედან დაიწყო სამაგალითო ძმობის, ეთთიერთსიყვარულის, ჭირში და ლხინში ერთიანობის გამუმეორებელი ისტორია, რომელმაც დრო და მანძილი არ იცის. ფილმის ავტორებმა (ოპერატორები ი. იროვენკო და ტ. კახდელაკი, კომპოზიტორი ი. ბობოხიძე, ფილმის დირექტორი მ. კატია) კეთილშობლიერ-ციოსტიკის საშუალებით გადაგვაშალეს ამ მეგობრობის ძველი სიკეთე, ქართველურ კადრებით მოგვაგონეს წარსულის ფურცლები, სამამული ომი თუ ძმებიანი ლმობიერ ლმობიერებლ. ეუბრდათ უკრაინელებს, ხელს უწვდიდნენ ქართველები, ახლა პირიქით. ისინი ერთად შრომობდნენ, ერთად იბრძოდნენ, ერთად იმარჯვებდნენ. ფილმში შეიჭვდებით ცნობილ უკრაინელ პოეტს მ. ბაჟანს, რომელიც სოფელ შომძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის საპატიო კოლმეურნეკაცია, მეზაიის შრომა, ბეხელ-ბოლველის შრომა მძიმეა. მათს დაკოცილ ხელებს, მზედაკოცულ სახეებს... ერთი სიტყვით მმრომელი კაცის პორტრეტებს ჩინებული ოსტატობით წარმოგვიდგენენ ეკრანზე ოპერატორები. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს რამდენიმე კიბოკადრი მხატვრული თვალსაზრისით. დაუვიწყარია, კადრში ჩვენებული და იქაური სიმღერა რომ გაისმის, მერე ერთმანეთს რომ ეკრწყმის და უკრაინული და ქართული პეზაჟების, დამმობილებული მიწა-წყლის ფონზე ხმიანობს...

აი სოფელ შრომისა და სოფელ როვნოს დღევანდელი თავმჯდომარეები: ძ. ორაგველიძე, უკვე გაჭაღარავებული, ძაგრამ სულით ჭარმაგი კაცი, რომელმაც თავის მხრეზე გადაიტანა შენების და ბრძოლის მთელი ეპოქა, და ჯერ ახალგაზრდა ი. მაზუნოვი! რაოდენ შთამბეჭდავია მათი სუბარი, რაოდენ საქმიანია შეხვედრები, მეგობრობისა და შეჯიბრების დიადი ძალა...

ფილმი მახარაძელმა მშრომელებმა დიდი ინტერესითა და ყურადღებით ნახეს. ასევე წარმატება ხვდა სურათს კიევში, მოსკოვში, ხერსონში... ფილმი რეკომენდებულია ინტერვიზიით ჩვენებისათვის.

ნ. ჯაფარიძე.

* * *

სურათზე: ფილმ „გულუხვობის" კადრი — მახარაძის რაიონის დელეგაცია სტუმრად უკრაინელ მეგობრებთან.

ეკრანი

გუშინ 13 საათზე დასავლეთ საქართველოში ყველგან წვიმდა, დაბლობ რაიონებსა და მთებშიც 8-10 გრადუსი სითბო აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო — 19 გრადუსი გორსა და მუხრანში იყო. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 10-18, მთებში 7-12 გრადუსი აღინიშნა.

გუშინ 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 18 გრადუსს სითბოს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ელჭექი, სუსტი ქარი, დაბლობ რაიონებში 13-18, მთებში 3-8 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს უმეტესად დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, მტკვრის ხეობაში წამში 10-15 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი იქროლებს. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 16-21, მთებში 9-14 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ტემპერატურა 19-21 გრადუსი.

სპასკის ყაიმიც ჰყოფნის

რეიკიავიკში მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების სპასკისა (საბჭოთა კავშირი) და ჰორტის (ჩეხოსლოვაკია) მატჩის მეთხუთმეტე პარტიაში (მეაოთხე დამატებითი პარტია), ბოლოს და ბოლოს, გაწყდა „ყაიმის ჯაჭვი". სპასკიმ ჩინებულად წარმართა ეს შეხვედრა, რომელშიც თეორიებით თამაშობდა და 35 აფლაზე მოიგო. ამრიგად, ანგარიში გახდა 8:7 მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ.

დღეს გაიმართება მატჩის მეთექვსმეტე პარტია, რომელიც ყველა შემთხვევაში უკანასკნელი იქნება. სპასკის ორთაბრძოლის მოსაგებად ყაი

ჰყოფნის, ჰორტს კი მხოლოდ მოგება უნდა. თუ ჩეხოსლოვაკიელმა დიდოსტატმა გაიმარჯვა, მაშინ მსაჯ არლაფდსონს (ისლანდია) მოუხდება წელიწადის ჩატარება, რათა ნახევარფინალის მონაწილე გამოავლინოს.

ევროპის ჩემპიონატი

3 ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებამ საცხაე შეიტანა სატურნირო ცხრილში. გამოიკვეთა უძლიერესი გუნდების შესაძლებლობები. საბჭოთა კავშირის ნაკრები ახლა დამაჯერებლად ლიდერობს, მისი უახლოესი მეტოქე კი უნგრეთის გუნდია. ადრინდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები — იუგოსლავიელი მოჭადრაკეები საბჭოთა ნაკრებთან დიდი ანგარიშით წაგების შემდეგ (2:6) საგრძნობლად ჩამორჩნენ.

რუმინელებთან კალდადებული პარტიების დამთავრებისას დიდოსტატმა ცვეტკოვიჩმ და ოსტატმა დორფმანმ მოიგეს, დიდოსტატმა რომანიშინმა კი ყაიმით დაასრულა შეხვედრა. ამრიგად, საბჭოთა და რუმინელი მოჭადრაკეების მატჩის ანგარიშია 5,5:2,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ. მოიგეს უნგრელებმაც, მათ ანგარიშით 6:2 სძლიეს ინგლისის ნაკრებს. ამრიგად, მეოთხე ტურის წინ საბჭოთა მოჭადრაკეებს 18 ქულა ჰქონდათ, უნგრელებს — 15 და მეორე ადგილზე იყვნენ.

ასეთ ვითარებაში დიდად საინტერესო იყო საბჭოთა და უნგრელი მოჭადრაკეების უშუალო შეხვედრა. გუშინდელ მეოთხე ტურში, პირველ დაფაზე მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი, რომელიც უკვე დამარცხა სამი ცხრილი დიდოსტატი სმეიკალი, ლიუბოევიჩი და გეორგიუ, შეეჯიბრა ეთამაშებოდა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტ პორტიშს. 23-ე სვლაზე გაიმარჯვა კარპოვმ. ამ მატჩში ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

კალათბურთი

თანაკლუბელთა მატჩი

კვირას კიევში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ექვსეულის მეორე ტური. თბილისის „დინამომ" ანგარიშით 87:79 დაამარცხა მოსკოველი თანაკლუბელები.

ამრიგად, თბილისის მესამე, უკანასკნელი ტურის (22-27 აპრილი) წინ გუნდებს ასეთი მდგომარეობა აქვთ: ცსკა — 33 ქულა, „დინამო" (ბ) და „სტროიტელი" — 23-23, „დინამო" (თბ). და „სპარტაკი" — 20-20, „ელგერისი" — 16 ქულა.

ცხენოსნობა

შკანასკნელი სტარტები

თბილისის იპოდრომზე დამთავრდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო ზონალური პირველობა და საქართველოს ჩემპიონატი ცხენოსნობაში.

დაბრკოლებათა გადალახვაში ე. წ. „ძალისმიერ ხტომებში" უძლიერესი იყო თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ა. მახარაძე. ცხენის გაწვრთნაში „საუკეთესო პრაზი" მოიპოვა თბილისელმა ვ. ბეზნიკინმა.

სამჭიდელთა ასპარეზობა (სამნეკერ სვლა, კრისი, კონკური) უფროსი ასაკის ცხენებისათვის მოიგო ზუგდიდელმა სპორტის ოსტატმა ვ. კრაინენკომ. უმცროს ასაკში პირველი იყო ოსტატობის კანდიდატი შ. სამიტოვი (აზერბაიჯანი).

საინტერესო იყო დაბრკოლებათა გადალახვა, რომელშიც თავი ისახელა ოსტატობის კანდიდატმა, ოჩამჩირელმა ა. აშუბამ.

საქართველოს ამბოლუტური ჩემპიონობა მოიპოვა აგრეთვე ოჩამჩირელმა მხედარმა, სპორტის ოსტატმა მ. სამველიანმა.

ნ. სიჯინავა.

ჯრეტენდენტთა მატჩი

საათეგის ჩართვის წიგნიერი

გუშინ ქადრაკის სასახლეში გაიხსნა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ნანა ალექსანდრიას და მაია ჩიბურდანიძის მეოთხედფინალური მატჩი.

დებულების თანახმად, გაიმართება 10 პარტია. პარტიები შედგება სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს. მომდევნო დღეები გამოყენებული იქნება გადადებული პარტიების დასამთავრებლად. ორშაბათობით მონაწილეები ისვენებენ.

თუ ერთ-ერთმა მხარემ ვადაზე ადრე მოაგროვა 6 ან 5,5 ქულა, დანარჩენი შეხვედრები აღარ გაიმართება. თუ 10 პარტიაში აღინიშნა ანგარიშით 5:5, დაინიშნება ორი დამატებითი პარტია. თუ არც აქ გაპოვლინდა გამარჯვებული, ისევ ორ პარტიას დაუმატებენ და ა. შ.

შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა თამარ სტარანდსტრემმა (მოსკოვი) გუშინვე ჩაატარა ფლიპურა, რომლის შედეგადაც დღევანდელ პირველ პარტიაში თეთრებით ითამაშებს მაია ჩიბურდანიძე.

ნანა ალექსანდრიას ოფიციალური სეკონდანტია დიდოსტატი გურგენიძე, მაია ჩიბურდანიძისა — დიდოსტატი გუფელდი.

მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტები

მტკიცე ხასიათის გოგონა

ზოგი რამ მაია ჩიბურდანიძის საჰადრაკო ბიოგრაფიიდან

ეუგენლამმა დიდოსტატმა ბორისლავ ივკოვმა, რომელიც მაია ჩიბურდანიძის თამაშმა აღაფრთოვანა, „ქალთა ფიშერი" უწოდა მას.

მართალია ეს ქება ჩიბურდანიძემ კიდევ ათოიით პაატუსაგან შეჯიბრებაში უნდა გაამარილოს, დაუცხრომლად უნდა სრულყოს თავისი ცოდნა და გამოცდილება. მაგრამ ხორხი მაიას თავაშის თავისებურება მხედველობიდან არ გამოპაოვია გამოცდილ დიდოსტატს. როგორც თვით მაია აღიარებს, ჭადრაკს, ისე როგორც მას მოსწონს, ძხოლოდ დიდოსტატეი — მამაკაცები და ნონა გაფრიდდაშვილი თასაძმეი. მისი ოცდაა გაუთანაბრდეს მათ.

მაიას წარმატებები ორგანულად გამომდინარეობს აუთგზის ბიოფლიო ჩემპიოოის ხონა გაფრინდაშვილის ბიწყინვალე მაგალითიდან. მე მახსოვდება ეს, ოოცა საბჭოურ და საზღვარგარეთის საჭადიაკო პერიოდიკაში გკითხულობ, ოომ საქართველოში ყველა გოგონას მოჭადრაკის თანდაყოლილი ნიჭი მოსდევს.

უაღრესად ძიაზიდველია ჩვენი საზელმოხვეჭილი ჩემპიაიოის აიოოგბა, როდესაც ესოდენ ბევრი რამ გაკეთა ქალთა ჭადრაკის ავტორიტეტისათვის და ოოცაალი წლიო მაოიილზე პრაქტიკულად თანასწორად თამაშოთა ფეადგენლოთით ძლიერ მოჭადრაკე ვაჟთა ტურნირეეძი.

აი რა მკაფიო მაგალითი აქვს ცხოვრებაშიც და საჭადრაკო ასაოეუზეც მაიას. ძისთვის და მისი თანატოლებისათვის დღეს უფრო ადვილია თავი გამოიჩიოოს დიდ სოორტში. ხუთეზის მსოფლიო ჩემპიოონის წარჩატებების ყველაზეთ საქართველოოს ძტკაცედ დაიმკვიდრა „ჭადრაკის რეპაუალიკის" სახელი. სწორედ ძახ პირველმა ჩვენს თანამემამეულე ქალებს ძორის გაჭრა „ფაჯაოა ეკოოპაში", პირველმა მოიპოვა ფრიდ საპატიო წოდება „სსო კაკშოოის დიდოსტატი ქალთა შორის".

ჩვენი ჭადრაკის „ახალი ტალღის" წართომადგეხეულთა ენინაშე და უყინარეს ყოველისა ძაიას წიაბე რთული ამოცანა დგას: თავიანთ მეტოქეებს რომ აჯობონ, უნდა აიოვისონ ყარსულის. უმდიერესი მემკვიდრეობა, უხდა იცნობდნენ უახლეს ძიღწევებს. ძაიას ჩვენს ქვეყანაცაა სხვებზე ადრე გადასცეა ოსტატოიის კახდიდატის დიპლოიი, შემდეგ კი სპორტის ოსტატობის დიპლოომიც. იგი ძსოფლიოაში ყველაზე ადალგაზრდა საერთაშორისო ოსტატია. როცა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე-ს) კონგრესს ეს გადაწყვეტილება გაძოაქოიდა ხიცაში, ჩიბურდანიძე სულ მხოლოდ 13 წლისა იყო. როგორც იუგოსლავიის ჭადრაკის ვეტერანი დიდოსტატი გლიგორიჩი აღნიშნავდა, ასეთი წარმატებები ესოდენ ადრე ასაკში მსოფლიოს არცერთ მოჭადრაკეს არ ჰქონია.

მაია დაიბადა ქუთაისელი აგრონომის გრიგოლ ჩიბურდანიძისა და პედაგოგ ნელი ხურციძის ოჯახში.

რვა წლის იყო მაია, როცა ქუთაისის პიონერთა სასახლეში რუსკუბოლიკის დამსახურებულ მწვრთნელთან დავით ჩირაძესთან მივიდა. შემდეგ მის საჭადრაკო გახალთლას ხელი მოჰკიდა გამოცდილმა დამრიგებელმა გიორგი ქახთარიამ.

მაია აქტიურად ჩაება საჭადრაკო ცხოვრებაში, წარმატებით თამამობდა მოსწავლეთა რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებაში, საქართველოს ქალთა ჩემპიონატებში. ქუთაისელი პირველთანრიგოსნის ამბავი მისი ძძოლიერი ქალაქის ფარგლებს გარეთაც მეიტყვეს.

და აი დადგა გადამწყვეტი დრო — მაია დედამ თბილისში ჩამოიყვანა, რათა ჭადრაკის ხელოვნებაში გაწაფულიყო. 1972 წლის სექტემბრიდან იგი რესპუბლიკის დედაქალაქის პირველი საუკეთესო სკოლის მოსწავლეა, რომლის კედლებში ქართული კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე აღიზარდა. ახლა სკოლას შეუძლია იამაყოს თავისი აღსაზრდელით, მეცხრე კლასის მოსწავლეთ.

მის ბედაგოგებს კი მართლაც აქვთ საამაყო. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ქალთა პირველობაში მესამე ადგილმა გოგონას ოსტატობის კანდიდატის წოდება მოუტანა.

მაია საოცრად ერთგულია ჭადრაკის — ამ ბრძოლი თამაშისა, რომლის ისტორია ორი ათას წელზე მეტს ითვლის. მისი რკინისებური, ყოვლისძძლე ლოგიკა ეხამება საოცარ ფანტაზიას. ძალიან ძალა გოგონა ჩაწვდა თამაშის სიღრძეს, რომელიც საერთო-საკაცობრიო კულტურის მშვენება გახდა.

საბჭოურ და საზღვარგარეთის პრესაში შეხვდებით აღტაცებულ გაოოზმაურებებს ძაია ჩიბუოდანიძის თამაშის შესახებ, რომელსაც უკვე ერთი წლის წინათ მსოფლიო პირველობის შესაძლებელ პრეტენდენტად აასახელებდნენ.

12 წლის მაიამ მოიგო ქალთა შორის თბილისისა და საქართველოს თასები, შემდეგ კი სსრ კავშირის თასითაც დაინტერესდა. საოცნებო პრიზისათვის ბრძოლის 64 მონაწილის შესარჩევ შეჯიბრებაში ნორჩმა მოჭადრაკემ გამოცდილი ოსტატები დაამარცხა. ფინალურ მატჩში ჩიბურდანიძეს დაუპირისპირდა ძეორე მაია—ქვეყნის ექს-ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი რანნიკუთუმცა ფინალური მატჩის პირველ პარტიაში დაამარცხდა, ესტონელმა მოჭადრაკემ ორთაბრძოლის ბედი შეცვალა — მოიგო ორი ძომდევნო შეხვედრა და პრიზის მფლობელიც გახდა.

მაია ჩიბურდანიძემ მაშინ ვერცხლის მედალი და სპორტის ოსტატის საკკერდე ნიშანი დაიმსახურა. ეს წოდება ენიჭებათ მოჭადრაკეებს, რომლებსაც 14 წელი შეუსრულდათ, მაგრამ ჩიბურდანიძე გამოხაკლისი გახდა, იმდენად დამაჯერებელი იყო ძისი წარმატებები.

ამ სპორტული და შემოქმედებითი მიღწევის გზაზე მაიამ შეძადგენლობით რამდენიმე ძლიერ ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

ამ ბოლო ორი წლის მანძილზე მაია ჩემი ხელმძღვანელობით „მზადება. მასთან ძალიან საინტერესოა მუშაობა. იგი სრულიადაც არ არის ჭადრაკის „ვუნდერკიხდი", ხუთებზე და ოთხებზე სწავლობს. ახლა, გასაგებია, შეჯიბრება ბევრ დროს ართმევს მას. მაგრამ სკოლაში მაიას აკადემიურ წარმატებაზე, საგნდნეიროდ, ეს გავლენას არ ახდენს.

მაიამ უკვე მეოთხედ ითამაშა სსრ კავშირის ჩოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის ფინალში. ეს ფაქტი უპრეცედენტოა საქართველოს მოჭადრაკე ქალებისთვისაც კი.

და აი გამართლდა საქართველოს ჭადრაკის მოყვარულთა გაბედული პროგნოზები. ჩვენ გავხდით იმ რეკორდის მოწმენი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ვერავინ ვერ გადაჭარბებს ჭადრაკის ხელოვნების ისტორიაში. 15 წლის მოსწავლე მსოფლიოს ცხრა უძლიერეს მოჭადრაკე ქალთა რიცხვში შევიდა და საჭადრაკო გვირგვინისათვის ბრძოლაში ებმება.

დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ალექსანდრია-ჩიბურდანიძის მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაში გამოვლინდება ნონა გაფრინდაშვილის ძომავალი მეტოქე 1978 წლის მსოფლიოს პირველობისათვის მატჩში.

ე. გუფელდი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

ფეხბურთი

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 19 აპრილისათვის
3 ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი"	2	1	0	3-0	5
„აპარატი"	2	1	0	3-1	5
„დინამო" თბ.	1	2	0	4-2	4
„დინამო" მ.	1	2	0	2-0	4
„ნეფტჩი"	1	2	0	4-3	4
„დნეპრი"	2	0	1	2-1	4
„ლოკომოტ."	1	2	0	1-0	4
„ტორპედო"	2	0	1	2-2	4
„არარატი"	1	1	1	4-5	3
„დინამო" კ.	0	2	0	2-2	2
„ზენიტი"	0	2	1	4-5	2
ცსკა	0	2	1	2-3	2
„კარპატი"	0	2	1	1-2	2
„ზარია"	0	1	2	1-3	1
„ჩერნომორ."	0	0	2	0-2	0
„კრ. სოვეტ."	0	0	3	3-7	0

შენიშვნა: 16 აპრილს გამართულ მატჩში „დნეპრმა" მოუგო „კარპატს" ანგარიშით 1:0 და არა „კარპატმა" — „დნეპრს" (2:1), როგორც ამას ვიუწყებოდით წინა ნომერში.

კვირას მოსკოვის „დინამოსა" და ალმა-ათის „კირატის" მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

პირველ ლიგაში

ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე კვირას გაიმართა პირველი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები ფეხბურთში.

ქუთაისში „ტორპედომ" ანგარიშით 1:0 დაამარცხა პერმის „ზვეზდა". ბურთი თამაშის მე-13 წუთზე გაიტანა ფესტვენიძემ. ტორპედოელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ყვერნაძე, ვოლკოვი, სულაქველიძე, მელიქია, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ქვირია, ჩაბუნაშვილი, ფესტვენიძე, შელია (ფარულავა), გაბიჩვაძე.

აი დანარჩენი შედეგებიც: „ნისტრუ" — „სპარტაკი" მ. — 3:2, „მეტალურგი" — „დინამო" მნ. — 1:0, „ტავრია" — „ტერეკი" — 0:1, „პახტაკორი" — „ქუზბასი" — 2:1, „პამირი" — „ურალმაში" — 2:0, „კოლხოზჩი" — „რუბინი" — 3:1, „სპარტაკი ი.-ფ. — „ზენიკი" — 2:2, „ყირეგასი" — „დინამო" ლ. — 4:1.

ორი ტურის შემდეგ ოთხ-ოთხი ქულით ლიდერობენ „პახტაკორი", „პამირი", „კოლხოზჩი" და „ტორპედო".

მოკლედ

ჭიდაობა. წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა კლასიკური სტილის მოჭიდაურეები სოფიაში ნიკოლა პეტროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე. ჩვენმა ფალავნებმა სამი პირველი ადგილი მოიპოვეს. 100 კგ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა თბილისელმა მიზეიო სალაძემ. მისი თანაქალაქელი ვახტანგ ბლაღიძე (52 კგ.) მეორე ადგილზე გამოვიდა.

ქალაქ კოტბუსში (გდრ) გამართულ ძეუდოისტ იუნიორთა საერთაშორისო ტურნირზე თბილისელმა ლევან ცისკარიშვილმა (68 კგ.) პირველობა მოიპოვა.

ტანვარჯიში. როსტოველმა ხ. ხიკნიაკოვმა ლონდონში ინგლისის ღია ჩემპიონატში პირველობა მოიპოვა—57,25 ქულა. ქალთა შორის უძლიერესი იყო რუმინელი ტ. უნგურიანუ (38,65), თუმცა მასზე უკეთესი შედეგი მრავალჯერადი ჩემპიონი ოლიმპიადის აბსოლუტურ ჩემპიონს ნ. კომანეჩის (39,10), რომელიც კონკურსგარეშე გამოდიოდა.

შაშე. ცხინვალში დამთავრდა რეპუბლიკის პირველობა ვაჟთა შორის, რომელშიც 16 მოშაშე მონაწილეობდა. პირველ ადგილზე გამოვიდა ოსტატობის კანდიდატი ვ. ბობოზოვი (ცხინვალი) — 12,5 ქულა. მეორე ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ბ. ცანავა (ფოთი) —11,5, მესამეზე — სოხუმელი ოსტატობის კანდიდატი ხ. მალოვიკი — 11 ქულა. აქვე გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ელვისებურ შაშში, რომელშიც გაიმარჯვა თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა შ. ბოთორაშვილმა.

ფეხბურთი. მეორე ლიგის მეოთხე ზონის საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩების უმეტესობა ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელთა წარმატებით დამთავრდა. თბილისის „სპარტაკმა", როგორც ვიცით, ანგარიშით 2:1 დაამარცხა ნიბურეენე ჩელნის „ტურბინა", სამტრედიის „ლოკომოტივმა" მოუგო იქელესკის „ზენიტს" — 2:0, ლანჩხუთის „გურიამ" — კიროვის „დინამოს" — 5:1, ბათუმის „დინამომ" — სარატოვის „სოკოლს" — 2:0, გორის „დილამ" — ზუგდიდის „დინამოს" — 1:0, ხოლო სოხუმის „დინამომ" წაადგა ორშაკარ-ოლას „დრუეტასთან" — 0:3.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

მუსიკოსები — დიად თარიღს

გუშინ მუშაობა დაიწყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის შემოქმედებითმა პლენუმმა

